

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ №34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოგრაფია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	გეოგრაფიის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	სულ - 240 კრედიტი. სპეციალობის სავალდებულო კურსი - 118 საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 20 სპეციალობის არჩევითი კურსები - 12 საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები -30 დამატებითი (minor) სპეციალობა - 60
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	თანამედროვე საზოგადოების განვითარება შეუძლებელია ბუნებასა და საზოგადოებას შორის ჰარმონიული დამოკიდებულების გარეშე. გამომდინარე აქედან, საჭიროა ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსების აღწერა - შეფასებას, აგრეთვე, იქნება ბუნებასა და საზოგადოებას შორის დამაკავშირებელი. სწორედ ამ ურთიერთობათა გარკვევაში უდიდეს როლს ასრულებს გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემა, რომელიც შეისწავლის დედამიწაზე არსებული ობიექტებისა და სისტემების ორგანიზაციას. გეოგრაფიის ერთ - ერთი მთავარი მიზანია დედამიწისა და მისი სისტემებისადმი ინტერდისციპლინური მიდგომით ბუნებრივი პროცესების გაანალიზება და შეფასება. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც იქნება მშობლიური ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და ტრადიციის პატივისცემის მქონე მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების და აქტიურობის, ჰუმანიზმისა და დემოკრატიის ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება. სწორედ ამ თვალთახედვით გეოგრაფიის პროგრამის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობის ოპტიმიზაციას.
სწავლის შედეგები	პროგრამის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულმა იცის დედამიწაზე არსებული გეოგრაფიული სისტემების განვითარების თავისებურებები და გარემოზე მათი გავლენის შედეგები სივრცესა და დროში; შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე გეოგრაფიული პროცესების მონიტორინგი და მისი განვითარების ძირითადი თავისებურებების დადგენა; შეუძლია ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების შეგროვება, პრობლემის გაანალიზება , დასკვნის გაკეთება და საზოგადოების წინაშე წარდგენა. იცნობს თავისი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს და უზიარებს სხვებს.
შეფასების წესი	სტუდენტის მიერ სასწავლო კურსში/მოდულში მიღწეული სწავლის შედეგები ფასდება მისი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების შეჯამების საფუძველზე. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, სადაც მიმდინარე შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. საბოლოო შეფასება - 100 ქულა განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით A B C D E FX F ECTS - შეფასება A ფრიადი - 91 ქულა და მეტი; B ძალიან კარგი - 81-90 ქულა; C კარგი - 71-80 ქულა; D დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; E საკმარისი - 51-60 ქულა; FX ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა; F ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ანთაზ ქიქავა , პროფესორი

	<p>მობ: 599 57-95-75</p>
--	--------------------------

ელ. ფოსტა: antaz. [qiqava@bsu.edu.ge](mailto:antaz.qiqava@bsu.edu.ge)